ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის
ო ქ მ ი № 02

დაბა ქედა 25 ნოემბერი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო 12:00
სხდომა დამთავრდა 13:00

სხდომას თავმჯდომარეობდა თეა შარაშიძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

სხდომას ესწრებოდნენ:
მაგდა მახარაძე - საბჭოს წევრი;
ინდირა გორგაძე - საბჭოს წევრი;
ზაზა დავითაძე - საბჭოს წევრი;
მადონა ფალავანდიშვილი - საბჭოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საბჭოს წევრი;
მამია გვარიშვილი - საბჭოს წევრი;
ეკა გოგუაძე-მახარაძე - საბჭოს წევრი;
სოფიო ხაბაზი - საბჭოს წევრი;
ლაშა ბერიძე - საბჭოს წევრი;
ვლადიმერ თებიძე - საბჭოს წევრი;
ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე - საბჭოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - გენდერული საბჭოს თავმჯდომარე;
თინა თებიძე - საბჭოს წევრი;
ჰამიდა ზოიძე - საბჭოს წევრი;
ოთარ ხარაძე - საბჭოს წევრი;
სულიკო ჩხიკვაძე - საბჭოს წევრი;

მიმდინარე წელს განვითარებული პანდემიის გამო, ქვეყანაში შეიქმნა რთული ვითარება, აიკრძალა ღონისძიებების ჩატარება როგორც ღია ისე დახურულ სივრცეში, აღნიშნულიდან გამომდინარე სხდომა ჩატარდა დისტანციურად ზუუმ პლატფორმის მეშვეობით. სხდომის დაწყებამდე ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თეა შარაშიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის №78 ბრძანება ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს №02 სხდომის მოწვევის შესახებ და ასევე სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ: დამხმარე ინსტრუქციის გაცნობა საბჭოს წევრებისათვის, ინფორმაცია კამპანიის შესახებ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, მუნიციპალიტეტის მიერ გენდერული ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

დღის წესრიგის მიხედვით საკითხი განხილულ იქნა 16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ: დამხმარე ინსტრუქციის გაცნობა საბჭოს წევრებისათვის, ინფორმაცია კამპანიის შესახებ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, მუნიციპალიტეტის მიერ გენდერული ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თეა შარაშიძემ და საბჭოს წევრებს გააცნო „16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ" დამხმარე ინსტრუქცია, მიაწოდა ინფორმაცია კამპანიის შესახებ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ გენდერული ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, გააცნო კალენდარული ღონისძიებები, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო საბჭოს გადაწყვეტილებით ჩატარდება დისტანციურად ზუუმ პლატფორმის მეშვეობით. საბჭოს წევრებმა ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების კალენდარი განიხილა. კამპანიის პერიოდში ონლაინ პლატფორმით აღინიშნება: უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღე (29 ნოემბერი), მოხალისეთა საერთაშორისო დღე (5 დეკემბერი), ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე (10 დეკემბერი). ასევე დამზადდება საინფორმაციო ფლაერები და ვიდეო რგოლები, გაიმართება კონკურსი თემაზე „შეაჩერე მოძალადე!"

სხდომის თავმჯდომარე თეა შარაშიძემ საკითხი, მიმდინარე წლის 29 ნოემბრიდან ჩატარდეს 16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, დამხმარე ინსტრუქციის გაცნობა საბჭოს წევრებისათვის და გამოცხადდეს კონკურსი თემაზე „შეაჩერე მოძალადე!", ღია კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თეა შარაშიძემ საბჭოს წევრებს წარმატებული საქმიანობა უსურვა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თ. შარაშიძე **თეა შარაშიძე**

საბჭოს მდივანი მ. მახარაძე **მაგდა მახარაძე**